# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 8 (377) ოქტომბერი, 2024 წელი






თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ირაკლი ნატროშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შემდეგ აღნიშნავს: ყველა შეხვედრა იყო უაღრესად პროდუქტიული, იგრძნობოდა დიდი მოტივაცია, რათა, შესაძლებლობების ფარგლებში, დახმარება გაგვიწიონ საგანმანათლებლო მიმართულებით. მით უმეტეს, რომ ატლანტა და თბილისი დამეგობრებული ქალაქები არიან. მეორე მხრივ, ეს თანამშრომლობა მათთვისაც გამოწვევაა, შესაძლებლობას იძლევა, დააკვირდნენ, როგორ მუშაობს მათი პროგრამა, რა ცვლილებებია საჭირო...

გვ 3



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ჩარიცხული 10 ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრელი დაჯილდოვდა, მათ შორის ყველაზე მაღალი ქულების მქონე ლაზარე ბაბუნაშვილს კი განსაკუთრებული საჩუქარი – პერსონალური კომპიუტერი – თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, გადასცა. ემოციური იყო თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მომზადებული სიურპრიზი – ვიდეორგოლი – ლაზარე ბაბუნაშვილის წარმატების შესახებ.

გვ 4



ახლახან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრმა დაარსებიდან 20 წლის იუბილე აღნიშნა. ღონისძიებაზე, რომელსაც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციის წარმომადგენლობა და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ ჩვენი და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან, ხაზგასმით აღინიშნა ცენტრის დანიშნულების და დიდი წვლილის შესახებ მომავალი ექიმების აღზრდისა და მათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში.

გვ 5

## თსსუ ავტორიზებულია მაქსიმალური შეფასებით

2024 წლის 30 აგვისტოს ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა.

სხდომაზე, საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა შეფასებების განხილვის შემდგომ, საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ავტორიზაციის საერთაშორისო მოთხოვნებთან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული შესაბამისობის და მაქსიმალური შეფასებით ავტორიზაციის ახალი, 6 წლის ვადით მინიჭების შესახებ.

## თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას გერმანულმა აუდიტორულმა კომპანიამ – „KTQ – თანამშრომლობა ჯანდაცვის ტრანსპარენტობასა და ხარისხში“ – სტანდარტებთან შესაბამისობისთვის საერთაშორისო აკრედიტაცია მიანიჭა.

აუდიტორულმა კომპანიამ შეაფასა: თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის მომსახურების ხარისხი, პაციენტებსა და თანამშრომლებზე ორიენტაცია, უსაფრთხოება, კომუნიკაცია, მენეჯმენტი, რისკებისა და ხარისხის მართვა.

შემაჯამებელ შეხვედრაზე აუდიტორებმა პაციენტებზე ორიენტაციის ნაწილი დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ კლინიკაში სამედიცინო მომსახურება ხორციელდება პროტოკოლის შესაბამისად. თანამშრომლებზე ორიენტაცია და მათი შერჩევა ხდება მათი აკადემიური დონის მიხედვით. შესაბამისად, აუდიტორების შეფასებით, თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას ჰყავს მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელიც უწყვეტი განათლების მიღებაზეა ორიენტირებული.

უსაფრთხოებასა და რისკების მართვის შესახებ გერმანული აუდიტორული კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღფრთოვანებულები არიან ეპიდემიოლოგიური ნაწილის კვალიფიციური მენეჯმენტით. აღინიშნა, რომ წამლების და მარაგების სისტემის უწყვეტობა კლინიკას უმაღლეს დონეზე აქვს განვითარებული.

დადებითად შეფასდა ციფრული მედიცინის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მართვის სისტემები. ახლად დანერგილი სისტემა მეტად დახვეწილ ელექტრონულ დოკუმენტ-ბრუნვას გულისხმობს და, აუდიტორების შეფასებით, ეს კლინიკის მუშაობის პროცესს მეტად ეფექტურს ხდის.

აუდიტორული კომპანიის წარმომადგენლებმა, კლინიკის მართვასა და ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის გენერალურ დირექტორს, ასოცირებულ პროფესორს ნინო ცხვედიანს. აუდიტორების შეფასებით, მან კლინიკის მართვასთან დაკავშირებით, ძალიან მცირე დროში გასაოცარ შედეგს მიაღწია.

კომპანიის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკების მართვის გუნდს. „ზუსტად ეს არის ძლიერი მხარე, უნივერსიტეტის ეგიდით მართვის მრავალი კრიტერიუმი ჩაიდო, რამაც ძალიან გაამართლა. ნამდვილად საუნივერსიტეტო დონეზეა ყველაფერი გამართული. გვსურს, ასევე, დიდი მადლობა გადავუხადოთ ქართულ მხარეს საერთაშორისო თანამშრომლობისთვის, ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მოგვეწონა თქვენი გეგმები და ახლა მთავარია მათი განხორციელება. წარმატებებს გისურვებთ“, – აღნიშნეს კომპანიის – „KTQ - თანამშრომლობა ჯანდაცვის ტრანსპარენტობასა და ხარისხში“ – წარმომადგენლებმა.

## მნიშვნელოვანი ფორუმი

29-30 აგვისტოს თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, ფიზიკური მედიცინის დეპარტამენტის პროფესორი ლელა მასხულია კარდიორეაბილიტაციის და პრევენციის გლობალურ ფორუმს დაესწრო, რომელიც ლონდონში (გაერთიანებული სამეფო) გაიმართა.

ფორუმში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 20 ქვეყნის 52-მა წამყვანმა ექსპერტმა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციისა და რეაბილიტაციის დარგში.

ფორუმის ფარგლებში გაიმართა დისკუსია, სამუშაო შეხვედრები მცირე ჯგუფებს შორის, რომელიც მიზნად ისახავდა გლობალური ერთიანობის გაძლიერებას, მეორად პრევენციასა და კარდიორეაბილიტაციაში არსებული ხარვეზების გამოვლენას და ქმედითი სტრატეგიების შემუშავებას.

გლობალურ ფორუმში მონაწილე თსსუ-ის პროფესორმა, ლელა მასხულიამ, წარმოადგინა კარდიორეაბილიტაციისა და პრევენციის მიმართულებით საქართველოში განხორციელებული კვლევები და მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილი პროექტები. აღნიშნულმა საკითხმა ფორუმის მონაწილეებში დიდი ინტერესი გამოიწვია, კოლეგების მხრიდან გამოითქვა სამომავლო მხარდაჭერის სურვილი.

პარტნიორულ ურთიერთობებზე დაყრდნობით, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენციისა და რეაბილიტაციის გლობალური ფორუმის მეშვეობით, შემუშავდა ინიციატივა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დაინტერესებული მხარეების მობილიზებისა და გაერთიანების მიზნით, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიც შეუერთდა.

## გლობალური განათლების გამოფენაზე

17-19 აგვისტოს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გაიმართა თსსუ-ის კონტრაქტორის, საერთაშორისო სტუდენტთა მომზიდავი კომპანიის - Qadri International Educational Consultancy-ის მიერ ორგანიზებული გლობალური განათლების გამოფენა – „ექსპო 2024“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ბიბილაშვილმა, და ამავე დეპარტამენტის საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვისა და ჩარიცხვის განყოფილების უფროსმა მარიამ სვანიშვილმა. უნივერსიტეტების გამოფენა ჩატარდა ორ ქალაქში – დუბაისა და აბუ-დაბიში.

ღონისძიების ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები გაესაუბრნენ 200-ზე მეტ აპლიკანტს. გამოფენაზე მისულ აბიტურიენტებსა და მათ მშობლებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამების, ფასების, სტუდენტური ცხოვრების და, აგრეთვე, საქართველოში ცხოვრების პირობების შესახებ. დაინტერესებულ პირებს დაურიგდათ თსსუ-ის საინფორმაციო ბროშურები და სამახსოვრო აქსესუარები.

## სტაჟირება თურქეთში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები, თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ლაბორანტის, ნინო ჯანყარაშვილის, ხელმძღვანელობით, რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში (რიზე, თურქეთი) საზაფხულო კლინიკურ სტაჟირებაზე იმყოფებოდნენ.

სტუდენტების ჯგუფმა სტაჟირება გაიარა გინეკოლოგიის, კარდიოლოგიის და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებებში. გარდა ამისა, სტუდენტები გაეცნენ რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ სიმულაციის ცენტრს, სადაც მათ პრაქტიკული მიმართულებითაც მიიღეს გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ სიმულაციის ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ჯუნეთ არდიჩმა მომავალი თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

თსსუ-ის სტუდენტებს საზაფხულო კლინიკური სტაჟირების წარმატებულად დასრულების შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ. თავის მხრივ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის დეპარტამენტს საჩუქრად ქართულენოვანი წიგნები გადასცეს.

## თსსუ-ის დელეგაცია სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) კონფერენციაზე

მიმდინარე წლის აგვისტოში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები: თსსუ-ის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი გაიანე სიმონია; უფროსის მოადგილე სალომე ვორონოვი; პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი; კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის/დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ირმა მანჯავიძე; დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ეკა ეკალაძე და დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ნინო თევზაძე ქ. ბაზელში (შვეიცარია) გამართულ სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) კონფერენციაზე იმყოფებოდნენ.

თსსუ-ის დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის პლენარულ სხდომებში, სიმპოზიუმებში, ვორქშოფებსა და სესიებში. გარდა ამისა, კონფერენციის პერიოდში დელეგაციის წევრებს ჰქონდათ საინტერესო შეხვედრები AMEE-ის მოქმედ პრეზიდენტთან, პროფესორ შუბა რამანთან და მომდევნო, დასახელებულ პრეზიდენტებთან: AMEE-ის აღმასრულებელ დირექტორთან, ანე ლოიდთან; სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტთან, რიკარდო ლეონ ბორხესთან; პროფესორ რონალდ ჰარდენთან, პროფესორ ოლე ტენ კატესთან; პროფესორ დევიდ ტეილორთან; პროფესორ კენ მასტერსთან და NBME და AMBOSS-ის წარმომადგენლებთან.

შვეიცარიაში ვიზიტის ფარგლებში, პროფესორი გაიანე სიმონია და სალომე ვორონოვი სპეციალური მიწვევით ბაზელის უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ, სადაც შეხვედრა გამართეს მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ფრანკ ციმერმანთან. შეხვედრაზე განიხილეს კლინიკური სწავლებისა და შეფასების მეთოდები. ამ მიმართულებით დაისახა უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გეგმები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში AMEE-ის ცენტრის თანახელმძღვანელი, სალომე ვორონოვი წლევანდელი კონფერენციის პროგრამის შემმუშავებელი კომიტეტის წევრი გახლდათ. ის, ასევე, აკადემიური განვითარების თემატურ სესიაზე მოდერატორად იყო მიწვეული.

წლევანდელ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 108 ქვეყნის 4041-მა წარმომადგენელმა.

## DAAD-SDG საერთაშორისო საპარტნიორო პროექტის წარმომადგენლების ვიზიტი თსსუ-ში

2024 წლის 12 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს DAAD-SDG ფონდის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო საპარტნიორო პროექტის – „მედიცინისა და ბიოლოგიის პროფილის ქართველი სტუდენტების მომზადება სამეცნიერო კარიერისთვის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებსა და მედიცინაში“ – კოორდინატორები, ჰანოვერის სამედიცინო სკოლის პროფესორი ულრიხ მარტინი და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, დოქტორი გაბი ფრორიეპი ესტუმრნენ.

უცხოელ პარტნიორთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა პროექტის საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ: პროექტის მენეჯერი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ნონა ჯანიკაშვილი; მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ტყემალაძე; იმუნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი; მოწვეული პედაგოგი ქეთევან მექვაბიძე; თსსუ-ის სტუდენტი ვალერი შარვაშიძე და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები: მარინა ფოჩხუა და მერაბ ჩიქობავა. აღნიშნულ შეხვედრაზე ნონა ჯანიკაშვილმა მოახსენა საპარტნიორო პროექტის ფარგლებში ჩატარებული არჩევითი კურსის – „მზადება სამეცნიერო კარიერისთვის“ – დეტალური ანგარიში: შედეგები, მიღწევები და გამოწვევები. პროექტის უცხოელმა კოორდინატორებმა დადებითად შეაფასეს თსსუ-ის სტუდენტების აქტივობები აღნიშნული კურსის ფარგლებში და იმსჯელეს ჰანოვერის სამედიცინო სკოლაში 2025 წლის LISA საზაფხულო აკადემიის პროგრამის ფარგლებში არჩევითი კურსის სტუდენტების სტაჟირების ორგანიზებაზე.

ვიზიტის მეორე ნაწილი დაეთმო ჰანოვერის სამედიცინო სკოლის ახალი სადოქტორო პროგრამის – „რეგენერაციული მეცნიერებების“ – პრეზენტაციას, რომელიც დოქტორმა გაბი ფრორიეპმა წარმოადგინა. შეხვედრას ესწრებოდნენ თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის და სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურის წარმომადგენლები. სტუმრებმა ხაზგასმით აღნიშნეს თსსუ-ის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა ჰანოვერის სამედიცინო სკოლის სადოქტორო პროგრამებზე მიღებისთვის და გამოთქვეს ამ მიმართულებით მეტი თანამშრომლობის სურვილი.

თსსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ქეთევან ბიბილაშვილთან, ნონა ჯანიკაშვილთან, ნინო კანდელაკთან, მარიამ მოსიძესთან და ნინო ჩილვინაძესთან შეხვედრისას პროფესორმა ულრიხ მარტინმა და დოქტორმა გაბი ფრორიეპმა გამოთქვეს სამომავლო სასწავლო და სამეცნიერო პროექტებში, მათ შორის, ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ პროგრამებში, თსსუ-სთან თანამშრომლობის და, ამ მიმართულებით, ჰანოვერის უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მზაობა.

DAAD-SDG ფონდის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო პროექტის – „მედიცინისა და ბიოლოგიის პროფილის ქართველი სტუდენტების მომზადება სამეცნიერო კარიერისთვის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებსა და მედიცინაში“ – მთავარი მიზანია საერთაშორისო სტანდარტებამდე აამაღლოს ქართველი სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული განათლების დონე, სიცოცხლის შემსწავლელ და სამედიცინო მეცნიერებებში და მისცეს ქართველ კურსდამთავრებულებს საშუალება, წარმატებით ჩააბარონ ცნობილ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებზე. პროექტი ითვალისწინებს თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისა და ფარმაციის სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურიკულუმებში არჩევითი კურსის ჩართვას, რომელიც მოამზადებს სტუდენტებს შემდგომი ინდივიდუალური კვლევითი პროექტებისთვის.

## ევროპის იმუნოლოგთა მე-7 კონგრესზე

1-5 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იმუნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი და ასოცირებული პროფესორი ნონა ჯანიკაშვილი იმყოფებოდნენ დუბლინში (ირლანდია) გამართულ ევროპის იმუნოლოგთა მე-7 კონგრესზე. კონგრესის მუშაობაში, ასევე, მონაწილეობდნენ იმუნოლოგიის დეპარტამენტის ახალგაზრდა მეცნიერები: ნინო თორია, სოფიო მეტრეველი და ნინო ნანავა.

თსსუ-ის იმუნოლოგების ჯგუფი კონგრესზე სამეცნიერო ნაშრომებით წარდგა. ასევე, ღონისძიებაზე გამართულ სამუშაო შეხვედრებს თავმჯდომარეობდნენ პროფესორი თინათინ ჩიქოვანი და ასოცირებული პროფესორი ნონა ჯანიკაშვილი. აღსანიშნავია, რომ პროფესორი თინათინ ჩიქოვანი პოსტერული სესიის ჟიურის წევრიც გახლდათ.

თსსუ-ის წარმომადგენლები შეხვდნენ გაერთიანებული სამეფოს ლონდონის დედოფალ მარის უნივერსიტეტის ლიპიდური მედიატორების განყოფილების დირექტორს, მოლეკულური ფარმაკოლოგიის პროფესორს, ჯესმონდ დალის, რომელმაც ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, როგორც პარტნიორი ორგანიზაციის, ჩართვის სურვილი გამოთქვა. ერთობლივ საპროექტო წინადადებაზე მუშაობა უკვე დაიწყო და საკონკურსოდ მისი წარდგენა მიმდინარე წლის ოქტომბერში იგეგმება.

# მნიშვნელოვანი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში





თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია – რექტორის, პროფესორ ირაკლი ნატროშვილის, კანცლერის ალექსანდრე ბუაჩიძის, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ არჩილ უნდილაშვილის, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის მოადგილის, ნინი ზარდიაშვილის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტის, სპარტაკ მერკვილაძის, შემადგენლობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. ვიზიტი განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა. მისი მიმდინარეობის შესახებ სასაუბროდ ვეწვიეთ თსსუ-ის რექტორს, **პროფესორ ირაკლი ნატროშვილს:**

**– ბატონო ირაკლი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის, მით უმეტეს, რომ ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლასაც და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსაც ახალი მმართველი გუნდი ჰყავს. რა შთაბეჭდილებებს გაგვიზიარებთ ემორის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ;**

**რა სიახლეების დანერგვას შეიძლება ველოდოთ საგანმანათლებლო მიმართულებით?**

– როცა ჩავედით და ემორის უნივერსიტეტს ვეწვიეთ, პირველივე წუთიდან ვიგრძენით დიდი კეთილგანწყობა, ასე გაგრძელდა ბოლომდე... ყველა ეტაპსა და ყველა დონეზე, სადაც არ უნდა მივსულიყავით ვიზიტის ფარგლებში, გვხვდებოდნენ ძალიან პოზიტიურად, თანამშრომლობისა და მხარდაჭერის სურვილით. ჩემთვის ეს მეორე ვიზიტი გახლდათ ემორის უნივერსიტეტში, პირველად იქ 2018 წელს ვიყავი და შევხვდი ემორის მედიცინის სკოლის მაშინდელ დეკანს. ის შეხვედრები, ძირითადად, ფოკუსირებული იყო ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტზე, რომელიც ჩვენმა უნივერსიტეტმა ემორის უნივერსიტეტსა და სხვა პარტნიორებთან ერთად, USID დაფინანსებით განახორციელა.

ახლა შეხვედრების მთავარი თემა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის ურთიერთთანამშრომლობა გახლდათ. ჩვენ შევხვდით: ემორის უნივერსიტეტის პრეზიდენტს, გრეგორი ფენვესს და პროვოსტს, რავი ბელამკონდას; შეხვედრაში მონაწილეობდნენ ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანის მოადგილე, პროფესორი გორდონ ჩერჩვორდი, ქალბატონი ნატალი კრუზი, პროფესორი ჯონ უილიამ ილი, პროფესორი მერი ჯო ლეკოვიჩი. ატლანტაში შეხვედრები გაიმართა ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანის მოადგილესთან, პროფესორ გორდონ ჩერჩვორდთან, ემორის უნივერსიტეტის სტუდენტთა კლინიკური სწავლების ადმინისტრაციულ ხელმძღვანელთან, ქ-ნ. ბარბარა ბინგემსთან და კოორდინატორებთან, ქ-ნ. მერი კეი გარსიასა და ქ-ნ. კასანდრა ნიკოლ კალანთან; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის განათლების უფროს კონსულტანტთან, პროფესორ ჯო ლე დუქსთან; ემორის უნივერსიტეტის გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის პროფესორ დუგლას ანდერთან და ემორის უნივერსიტეტის ჰემატოლოგიისა და სამედიცინო ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ მერი ჯო ლეკოვიჩთან;





მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ახლადარჩეულ დეკანთან, ქალბატონ სანდრა ვონგთან, ვიზიტი, რომელსაც ესწრებოდნენ თსსუ-ის პარტნიორები ემორის უნივერსიტეტიდან: პროფესორები დუგლას ანდერი, გორდონ ჩერჩვორდი, მერი ჯო ლეკოვიჩი, ნატალი კრუზი (ემორის უნივერსიტეტის გლობალური სტრატეგიებისა და ინიციატივების ასოცირებული დირექტორი).

თსსუ-ის დელეგაცია, აგრეთვე, შეხვდა ემორის საუნივერსიტეტო კლინიკის შინაგანი მედიცინის სწავლების სამსახურის დირექტორს, პროფესორ დანიელ დრესლერს.

ყველა შეხვედრა იყო უაღრესად პროდუქტიული, იგრძნობოდა დიდი მოტივაცია, რათა, შესაძლებლობების ფარგლებში, დახმარება გაგვიწიონ საგანმანათლებლო მიმართულებით. მით უმეტეს, რომ ატლანტა და თბილისი დამეგობრებული ქალაქები არიან. მეორე მხრივ, ეს თანამშრომლობა მათთვისაც გამოწვევაა, შესაძლებლობას იძლევა, დააკვირდნენ, როგორ მუშაობს მათი პროგრამა, რა ცვლილებებია საჭირო...

**– ჩვენ ახლა ვსაუბრობთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე. თქვენ არაერთხელ აღგინიშნავთ, ამ პროგრამის ღირსებების შესახებ... შეგვიძლია ისიც დავძინოთ, რომ ამ პროგრამას ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს.**

– დიახ, და ეს მისასალმებელია, თუმცა აქვე დავამატებ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა სხვა პროგრამასაც ჰყავს ძალიან კარგი, წარმატებული, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები. ისინი საქართველოშიც და საერთაშორისო მასშტაბითაც ანგარიშგასაწევ წარმატებებს აღწევენ. როცა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ვსაუბრობ, აქ გამოწვევაა სწავლის განსხვავებული, ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის, მეთოდი. ეს გახლავთ ძალიან საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული სწავლება. და თანაც, ეს ძალიან პრესტიჟულია, რომ საქართველოში შეიძლება ისწავლო მედიცინა ემორის უნივერსიტეტის პროგრამით და სად უნდა ისწავლებოდეს ეს პროგრამა თუ არა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. ჩვენ გვყავს აკადემიური პერსონალი, რომელიც ძალიან მაღალ გამოწვევებს პასუხობს. ბევრი მათგანი ასწავლის როგორც დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებს, ისე დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პროგრამების სტუდენტებსაც.

**– ნებისმიერი უნივერსიტეტისთვის კვლევითი მიმართულება პრესტიჟისა და ავტორიტეტის განმსაზღვრელია. პოსტსაბჭოთა სივრცეში ბევრი რამ ძალიან რთულად მიმდინარეობს ამ მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები ხშირად მაღალი ხარისხის კვლევების წარმოების შესაძლებლობას არ იძლევა. რა შთაბეჭდილებითა და გეგმებით დაბრუნდით აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის სამეცნიერო ინსტიტუტში (Walter Reed Army Institute of Research – WRAIR) ვიზიტის შემდეგ?**

– მიწვეული ვიყავით აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის სამეცნიერო ინსტიტუტში (Walter Reed Army Institute of Research – WRAIR), რომელიც აშშ-ის ყველაზე დიდ ბიოსამედიცინო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას წარმოადგენს და აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია.

ჩვენს დელეგაციას ვოლტერ რიდის ინსტიტუტის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ელი ლოზანომ და დირექტორმა, პროფესორმა ნელსონ მაიკლმა, უმასპინძლეს. ძირითადად, ჰოსპიტალური ინფექციების კვლევების შესახებ გვქონდა საუბარი. შევეხეთ ანტიბიოტიკრეზისტენტული შტამების კვლევის თემასაც. იმედია, მომავალში გამოვძებნით ნიშას და საუნივერსიტეტო კვლევებშიც გვექნება თანამშრომლობა. მით უმეტეს, რომ ჩვენ გვაქვს ორი ძალიან მნიშვნელოვანი კვლევითი ინსტიტუტი: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლ. ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი. ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ, რომ გამოიძებნოს მეტი და მეტი კვლევის რესურსი. ცხადია, კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის. კვლევაში ჩართული აკადემიური პერსონალი და სტუდენტები – ესენი ის ადამიანები არიან, რომლებსაც ყველა მიმართულებით განვითარება შეუძლიათ.

**– კლინიკების მართვა საკმაოდ საპასუხისმგებლოა და დიდი გამოწვევაა ნებისმიერი სტრუქტურისთვის. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკების მართვის / მენეჯმენტის მიმართულებით თუ გაქვთ სიახლეების დანერგვის პერსპექტივა და რამდენად შესაძლებელია აშშ-ის მენეჯმენტის გამოცდილების გაზიარება საქართველოში?**

– როგორც კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი გავხდი, ბატონი ალექსანდრე ბუაჩიძე კი – ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), დავიწყეთ ფიქრი კლინიკების მართვის ახალი მოდელის დანერგვაზე. ეს არ გულისხმობდა კლინიკებში არსებული მენეჯმენტის შეცვლას, გვინდოდა მხოლოდ ზოგადი პრინციპის შეცვლა, რომ ყველა საუნივერსიტეტო კლინიკის მართვა საბოლოოდ ცენტრალიზებული ყოფილიყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან. წარმოიდგინეთ, როგორ გაგვეხარდა, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტისას, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის წარმომადგენლებმა აგვიხსნეს, რომ ისინი სწორედ ამ მეთოდით მართავენ თავიანთ, ჩვენსაზე ბევრად დიდ და მეტი რაოდენობის, კლინიკებს. მათი მართვის მოდელი ზუსტად ის აღმოჩნდა, რომელზეც აქ, დამოუკიდებლად, მე და ბატონი ალექსანდრე შევჯერდით. ემორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსში არის ჯგუფი, რომელიც დაკავებულია კლინიკების მართვით, ისევე, როგორც ჩვენს უნივერსიტეტში ხდება ეს. ისინი ზოგად მმართველობას უწევენ და, ამდენად, მეტად ცენტრალიზებული ხდება მართვა.

**– თქვენ ბრძანეთ, რომ პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში 2018 წელს ბრძანდებოდით და მაშინ იქ მთავარი თემა ფიზიკური რეაბილიტაცია გახლდათ. საინტერესოა, დღესდღეობით, ხომ არ უნდა გვქონდეს სიახლეების მოლოდინი ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიის საქმიანობის მიმართულებითაც?**

– ჩვენ ვიმყოფებოდით ქალაქ ატლანტაში არსებულ აუტიზმის ორ უდიდეს ცენტრში (მარკუსის აუტიზმის და ემორის აუტიზმის ცენტრები). მარკუსის აუტიზმის ცენტრში არსებობს მსოფლიო მასშტაბით იშვიათი მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია აუტიზმის ადრეული, კერძოდ, ორი თვის ასაკიდან დიაგნოსტიკა. 2018 წელს, როცა ვიზიტით გახლდით ემორიში, ხდებოდა აუტიზმის ადრეული დიაგნოსტიკის ახალი მეთოდის აპრობაცია. ახლა ვნახეთ, რომ ეს მეთოდი უკვე დანერგილია; FDA-მა (კვების და წამლების ადმინისტრაციამ), რომელიც ყველა მკურნალობის მეთოდის და სამკურნალწამლო საშუალების რეგისტრაციას ახდენს, დაარეგისტრირა ეს მეთოდი და მისცა გამოყენების რეკომენდაცია. ახალი – აუტიზმის ადრეული დიაგნოსტიკის მეთოდით მიღებული შედეგები სრულ კორელაციაშია (99,5%-ით) 3-4 წლის ასაკში ე.წ. ADOS-ის (Autism Diagnostic Observation Schedule) ტესტით დასმულ დიაგნოზებთან. ამდენად, სანდოობა ძალიან მაღალია. დავიწყეთ მოლაპარაკება ამ მეთოდის საქართველოში დანერგვასთან დაკავშირებით. ჩვენ გვაქვს ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიის ორი არაჩვეულებრივი ფილიალი, ასევე, კენ ვოლკერის კლინიკა. ინტელექტუალური და ადამიანური რესურსის მომზადების შემდეგ, მომავალ წელს, იმედი მაქვს ამ ფილიალებსა და კლინიკაში აუტიზმის ადრეული დიაგნოსტიკა გვექნება დანერგილი.

**– აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციამ ქალაქ ვაშინგტონში ორგანიზაცია– „მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკის მეგობრების" – დაჯილდოების ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. ვის დაასახელებდით ამერიკელი კოლეგებიდან, სამედიცინო დარგის ცნობილი მოღვაწეებიდან?**

– ეს შეხვედრა გაიმართა სასტუმრო „ინტერკონტინენტალში", სადაც, მისაღებში, ანუ ლობიში, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იკრიბებოდნენ ადამიანები, რომლებიც განსაზღვრავდნენ სხვადასხვა სფეროს, თემის მხარდაჭერის საკითხებს, სწორედ ამის გამო, რომ ეს მსჯელობა ლობიში მიმდინარეობდა, დღეს მხარდაჭერას ლობირება ჰქვია... ამ სასტუმროს ერთ-ერთ სარიტუალო დარბაზში მიმდინარეობდა ცერემონია, რომელზეც დააჯილდოვეს ადამიანები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მედიცინის განვითარებაში და, ამავდროულად, მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთგული მომხმარებლები არიან.

**– იქ არაერთ ცნობილ მეცნიერს ნახავდით, განსაკუთრებით თუ გამოყოფთ ვინმეს?**

– გამოვყოფდი ორ ქალბატონს, რომლებმაც ნობელის პრემია მიიღეს ფაიზერის ვაქცინის შემუშავების გამო: დოქტორ კატალინ კარიკოს და პროფესორ ოზლემ ტურეჩის.

**– დაბოლოს, ვაშინგტონში ვიზიტის დასასრულს, ემორის უნივერსიტეტმა თსსუ-ის დელეგაციის წევრებისთვის, აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის სამეცნიერო ინსტიტუტის, აშშ-ის კონგრესის სამეცნიერო ფონდისა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის საზეიმო მიღება გამართა ვაშინგტონის კლუბში – „კოსმოსი". რა ხდებოდა ამ მიღებაზე?**

– ესეც ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო. ეს ბრიტანული ტრადიციის ჯენტლმენთა კლუბია, სადაც ადრე მხოლოდ მამაკაცები იკრიბებოდნენ. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ქალბატონებიც დადიან ამ კლუბში. კლუბის წევრებისა და სტუმრებისთვის მოქმედებს ძალიან მკაცრი ეტიკეტი. სწორედ ამ კლუბში გამართა საზეიმო მიღება ემორის უნივერსიტეტმა თსსუ-ის დელეგაციის წევრებისთვის, აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის სამეცნიერო ინსტიტუტის, აშშ-ის კონგრესის სამეცნიერო ფონდისა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის. ღონისძიების მიზანი იყო დამსწრე საზოგადოების ერთმანეთისთვის წარდგენა და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა. მიღება ძალიან პოზიტიურად წარიმართა და დავსახეთ სამომავლო გეგმები. თქვენ იცით, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ინტენსიურად სტუმრობენ პროფესორები ემორის უნივერსიტეტიდან და თსსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩადის ემორის უნივერსიტეტში... თანამშრომლობა ასევე გაგრძელდება და, იმედი მაქვს, არეალი კიდევ გაფართოვდება; ვფიქრობ, თსსუ ღირსეულად უპასუხებს ყველა გამოწვევას და კიდევ უფრო მაღალი შედეგებით შეხვდება მომავალს.

ესაუბრა ლელა მუკბანიანი







# ახალი სასწავლო წელი საზეიმო ღონისძიებით გაიხსნა



მიმდინარე წლის 23 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

პირველსემესტრელებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, კანცლერმა და ფაკულტეტების დეკანებმა. სტუდენტებს, ასევე, წარმატებები უსურვეს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა არჩილ თალაკვაძემ; საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა ვლადიმერ კახაძემ; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ნოდარ პაპუკაშვილმა; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეებმა – ქალბატონებმა თამარ გაბუნიამ და თეა გიორგაძემ; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანის მოადგილემ, პროფესორმა გორდონ ჩერჩვორდმა (აშშ); მილანის უნივერსიტეტის პროფესორმა მაურო ლაბანკამ (იტალია); თსსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა, საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტმა და საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მთავარმა ექიმმა, ზურაბ კახაბრიშვილმა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, სტუდენტებს წარმატებული სასწავლო წელი უსურვა:

„ძვირფასო პირველსემესტრელებო, დღეს იწყება ახალი, ძალზედ მნიშვნელოვანი ეტაპი თქვენს ცხოვრებაში; თქვენ იწყებთ არჩეული პროფესიის დაუფლებას. გილოცავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებად გახდომას. როგორც უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორი, მადლობას გიხდით ამ არჩევანისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სამედიცინო განათლების ყველაზე მძლავრი და საუკეთესო, ამავდროულად, დიდი ტრადიციების მქონე კერაა საქართველოში, დაკომპლექტებული საუკეთესო აკადემიური პერსონალით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ეს არის მუდმივ განვითარებაზე მომართული ინსტიტუცია, რომლის მთავარი მიზანი უწყვეტი ზრუნვაა სწავლის და სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ჩვენი უნივერსიტეტის მთავარი მისიაა სამედიცინო განათლებაში ახალი ცოდნის შექმნა და გავრცელება. თქვენ ხართ ამ ცოდნის მიმღებნი. ამდენად, ამ საკითხში ორი მხარე არ არსებობს, ჩვენ ერთნი ვართ, ვართ პარტნიორები და ამ პარტნიორობის მიზანს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო კადრების მომზადება წარმოადგენს. მინდა, ეს გახსოვდეთ და იცოდეთ, რომ თქვენი უნივერსიტეტი, მისი აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ყოველთვის თქვენი მხარდამჭერი და საყრდენი იქნება.

პირველსემესტრელებს შეხვდნენ: მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ტყემალაძე; სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნანა ყიფიანი; ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ ჩიკვილაძე; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი შალვა (დავით) ზარნაძე; ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლელა მასხულია და საექთნო საქმისა და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამების კოორდინატორი, ასისტენტ-პროფესორი მედეა ჯღარკავა.

საზეიმო ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ჩარიცხული 10 ყველაზე მაღალრეიტინგული პირველსემესტრელი დაჯილდოვდა, მათ შორის ყველაზე მაღალი ქულების მქონე ლაზარე ბაბუნაშვილს კი განსაკუთრებული საჩუქარი – პერსონალური კომპიუტერი – თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, გადასცა. განსაკუთრებით ემოციური იყო თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მომზადებული სიურპრიზი – ვიდეორგოლი – ლაზარე ბაბუნაშვილის წარმატების შესახებ.

დასასრულს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან ახლადშექმნილმა ბენდმა მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინა; გაჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.














## პირველსემესტრელი ლაზარე ბაბუნაშვილი რეიტინგით პირველია



ვიცი, ბევრი ბავშვობიდანვე ოცნებობს მედიცინაზე, მე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ამერიკულ პროგრამაზე სწავლის გადაწყვეტილება მე-8 კლასში მივიღე. კომაროვის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში ვსწავლობდი და ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მათემატიკასა და ფიზიკაზე მეტად ბიოლოგია დამაინტერესებდა. დედაჩემმა სამედიცინო განათლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიიღო, თუმცა ჩემთვის ეს ფაქტი ამ პროფესიისადმი ინტერესის საბაბად არ ქცეულა. ყველაფერი მხოლოდ მაშინ შეიცვალა, როდესაც ანატომიის სწავლა დავიწყეთ, პირველივე გაკვეთილიდან დამაინტერესა ბიოლოგიამ და, შეიძლება ითქვას, სწორედ ამან გადაწყვიტა ჩემი მომავალი.

ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლაც პრიორიტეტული იყო ჩემთვის – აქტიურად ვერთვებოდი გაკვეთილის პროცესში, თანაკლასელებსაც ყოველთვის სიამოვნებით ვეხმარებოდი, რამაც, ჩემი აზრით, უდიდესი გავლენა იქონია სწავლის ხარისხზეც.

დავალებების დროულად და გადაუდებლად შესრულება მჩვევია. აბიტურიენტობის პერიოდშიც ყოველგვარ მითითებას ვასრულებდი. ამის გამო, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის განსაკუთრებული მომზადება არც დამჭირვებია, რადგან ყველაფერი, თავის დროზე, კარგად მქონდა ნასწავლი – უბრალოდ, გადავხედე კონსპექტს, რომელსაც მთელი წელი ვამზადებდი. მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის წვლილი, რადგანაც ფიზიკა-მათემატიკაში არც მჭირდებოდა მომზადება. საბოლოო ჯამში, გამოცდების შედეგებით ძალიან კმაყოფილი ვარ. მართალია, ნერვიულობის ფონზე, რამდენიმე შეცდომა დავუშვი, თუმცა, ვფიქრობ, ეს ბუნებრივია ასეთი მნიშვნელოვანი გამოცდების დროს.

უნივერსისტეტში სწავლა უკვე დაიწყო და, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ყველა, როგორც აქაური, ისე უცხოელი პირველსემესტრელი სტუდენტი, ძალიან მეგობრული, კომუნიკაბელური აღმოჩნდა და დიდი სურვილი მაქვს, მომავალშიც ასე გაგრძელდეს. ყველას წარმატებას ვუსურვებ და, დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად მიაღწევენ მიზანს და აიხდენენ ოცნებებს.

გარკვეული გეგმები, სამომავლოდ, რა თქმა უნდა, მაქვს. ვფიქრობ პლასტიკურ ქირურგობაზე, თუმცა, დიდი ალბათობით, აზრი შეიძლება შემეცვალოს. მედიცინა ისეთი სფეროა, სადაც უამრავი სხვადასხვა განხრა და მიმართულებაა, ამასთან ერთად, სწავლის პროცესიც ხანგრძლივია; ამიტომ არ გამოვრიცხავ, ახალი ინფორმაციის მიღების ფონზე შეიცვალოს ჩემი ინტერესი. ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ექიმობა ისეთი პროფესიაა, რომელიც მოითხოვს იცოდე, რომ სხვისი სიცოცხლე საკუთარზე მეტად ფასობს. მეტწილად, ალბათ, იმანაც განაპირობა ჩემი არჩევანი, რომ მინდა ადამიანებს დავეხმარო და ვიზრუნო მათ ჯანმრთელობაზე. დედას არაერთხელ უთქვამს, რომ ექიმობა ძალიან რთულია და ურჩევია, რომ სხვა პროფესიით დავინტერესებულიყავი, თუმცა ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე და კარგად გაცნობიერებული იყო, რასაც მინდა ბოლომდე ვუერთგულო.

ლაზარე ბაბუნაშვილი,
დიპლომირებული მედიკოსის
ამერიკული პროგრამის
პირველი სემესტრის სტუდენტი

# კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი 20 წლისაა







მედიცინის სწავლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქვეყნო საქმე გახლავთ, რადგან შედეგი პირდაპირ ახდენს გავლენას მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე. არის კიდევ ერთი ძალიან ანგარიშგასაწევი ფაქტი: მის შესწავლას, თეორიული ცოდნის გარდა, სჭირდება პრაქტიკული გამოცდილება; პირველ ეტაპზე რეალურ პაციენტზე მანიპულაციების ჩატარება მისი შესწავლის მიზნით კი დაუშვებელია, როგორც ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ისე მორალური პრინციპითაც, რადგან დასაწყისში მანიპულაციების ჩატარებისას შეცდომები გარდაუვალია, ცოცხალ ადამიანზე კი შეცდომის დაშვების მაღალი ალბათობა ეწინააღმდეგება პაციენტის უფლებების დაცვის პრინციპს. სწორედ ამიტომაც გახდა აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანი მომავალი ექიმებისა და ექთნებისთვის მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრში სიმულატორებსა და მულაჟებზე პრაქტიკული პროცედურების და მანიპულაცების ჩატარების სწავლება, რის შემდეგაც უკვე განაფული მედიკოსი თავისუფლად შეასრულებს ნებისმიერ მანიპულაციას რეალურ პაციენტთან.

ახლახან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრმა დაარსებიდან 20 წლის იუბილე აღნიშნა. ღონისძიებაზე, რომელსაც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციის წარმომადგენლობა და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ ჩვენი და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან, ხაზგასმით აღინიშნა ცენტრის დანიშნულების და დიდი წვლილის შესახებ მომავალი ექიმების აღზრდისა და მათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების საქმეში.

პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, მისასალმებელი სიტყვით მიმართა აუდიტორიას: ცენტრის (თავდაპირველად – ლაბორატორიის) დაარსების შესაძლებლობა უნიკალური გახლდათ იმ თვალსაზრისით, რომ იმ დროისთვის მსგავსი ცენტრის შექმნის იდეა ბევრი ევროპული სამედიცინო უნივერსიტეტისთვისაც უცხო იყო და რაოდენ საამაყოა, რომ ზრუნვა ამ საკითხის მოსაგვარებლად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 20 წლის წინ დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ცენტრი მუდმივი განვითარების პროცესშია და დღეს, ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, აქ ინტენსიურად ინერგება ისეთი მულაჟებისა და სიმულატორების გამოყენება, რომლებიც სადღეისოდ თანამედროვე მსოფლიოს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებშია აპრობირებული. ცენტრი, ასევე, აქტიურად მონაწილეობს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ჩატარებაში, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ცენტრის ფუნქციონირების თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს მსგავსი სახის ცენტრი არ გააჩნია არათუ ჩვენი ქვეყნის, არამედ ბევრ უცხოურ უმაღლეს სამედიცინო სკოლას, – აღნიშნა მან და დასძინა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მუდმივ მზადყოფნაშია, იზრუნოს ცენტრის საქმიანობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

ღონისძიების ორგანიზატორმა, თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ირმა მანჯავიძემ, საზოგადოებას სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდა ცენტრის საქმიანობის შესახებ და ისაუბრა მის დანიშნულებასა და განვითარებაზე. ცენტრი კლინიკური უნარების კვალიფიციურად ათვისებას ემსახურება და აღჭურვილია უახლესი სასწავლო-სამედიცინო ტექნოლოგიებით. აღნიშნული საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებში სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, სიმულატორებისა და მანეკენების საშუალებით, განახორციელონ როგორც საბაზისო, ასევე, უფრო რთული და კომპლექსური მანიპულაციები, რაც მულტიდისციპლინური და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვისაა საჭირო.

პროფესორმა ირმა მანჯავიძემ აღნიშნა, რომ თსსუ-ის მხარდაჭერით, დეპარტამენტი მდიდრდება თანამედროვე სიმულატორებითა და მულაჟებით და მადლობა მოახსენა ხელმძღვანელობას მუდმივი თანადგომისთვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა თეა გიორგაძემ, საზოგადოებას და ცენტრის წარმომადგენლებს მიულოცა საიუბილეო თარიღი და განაცხადა, რომ იგი, ჯერ კიდევ სტუდენტი, მომსწრე გახლდათ ცენტრის (მაშინ – ლაბორატორიის) პირველი ნაბიჯებისა და ამაყია, რომ მშობლიურ უნივერსიტეტს თანამედროვედ აღჭურვილი საგანმანათლებლო სივრცე - კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი აქვს.

თსსუ-ის კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის საიუბილეო ღონისძიებას ესწრებოდა SESAM-ის სიმულაციების ევროპული ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის ყოფილი წევრი და პრეჰოსპიტალური პრაქტიკის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ულუფერ სივრიკაია, რომელმაც ისაუბრა სიმულაციების ევროპული ასოციაციის პრაქტიკის საზოგადოების ჩამოყალიბების შესახებ, აღნიშნა, რომ ამ საზოგადოების წევრობა კიდევ უფრო დააახლოვებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრს სიმულაციური პრაქტიკის ევროპულ სტანდარტთან.

საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის და წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სახელით საზოგადოებას მიესალმა ექიმი მამა ადამი ახალაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველთვის იყო ქართველ ჯანდაცვის მოღვაწეთა უმთავრესი სამჭედლო, სადაც წყდებოდა უმნიშვნელოვანესი სამედიცინო პრობლემები და რომ ამ უმაღლესმა სამედიცინო სკოლამ სამომავლოდაც უნდა განსაზღვროს ქართული სამედიცინო მეცნიერებების განვითარების პერსპექტივები.

მამა ადამმა აღნიშნა, რომ მეხსიერება ამგვარი იუბილეების მნიშვნელობას და აუცილებლობას გვიდასტურებს, რათა დავიწყების ბინდში არ ჩაგვეკარგოს წარსული (სიმულაციამდე აკადემიური პროცესი), გავიზიაროთ დღევანდელობა (ელექტრონული, მექანიკური, ვირტუალური მოდელების თანაფარდობის ოპტიმიზაცია) და განვჭვრიტოთ მომავალი (სიმულაციის იმპლანტაცია ყოველდღიურ კლინიკურ პრაქტიკაში და ხელოვნური ინტელექტის ჩართვა), რომ თსსუ – ჩვენი ალმა-მატერი ამ მიმართულებითაც უნდა დარჩეს ლიდერად ლიდერთა შორის.

პროფესორმა დინარა კასრაძემ – მაშინდელი ლაბორატორიის (ცენტრის) პირველმა ხელმძღვანელმა, გაიხსენა ის ნაბიჯები და დიდი პასუხისმგებლობა, რის წინაშეც კოლექტივი დაარსების დღიდან იდგა. მან მადლიერების სიტყვებით მოიხსენია ის კლინიცისტები, რომელთა შემწეობითაც წლების მანძილზე ცენტრის საქმიანობა ყოველდღიურად იხვეწებოდა და უმჯობესდებოდა. ქალბატონმა დინარამ შემდგომი წარმატებები უსურვა კოლეგებს თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მედიკოსების ჩამოყალიბების დიდ და საპასუხისმგებლო საქმეში.

თსსუ-ის აკადემიური განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გაიანე სიმონიამ, საზოგადოებას უამბო, როგორ შეესხა ხორცი იდეას სიმულაციების ცენტრის შექმნის შესახებ; მან აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უნდა იამაყოს იმით, რომ ჯერ კიდევ ძალიან ადრე, 1990-იან წლებში, მისი ჩართულობით, თსსუ-ში დაიწყო განათლების რეფორმა, ანუ ფიქრი ევროპის ქვეყნებთან პარალელურ რეჟიმში სიმულაციის ცენტრის შესაქმნელად. პროფესორი გაიანე სიმონია, 2003-2004 წლებში, პროფესორ რამაზ ხეცურიანის რექტორობის პერიოდში, გერმანიაში იმყოფებოდა მომავალი ცენტრისთვის სიმულატორების შესარჩევად. „საამაყოა, რომ დღესაც არაერთი საქმითა თუ ინიციატივით ვვითარდებით ევროპის წამყვან ქვეყნებთან ერთად – თუ გინდა წარმატებას მიაღწიო, უნდა გააკეთო ის, რასაც სხვები აკეთებენ და თან ეცადო, ეს მათზე უკეთაც მოახერხო; მიხარია, რომ ცენტრი, ქალბატონი ირმას ხელმძღვანელობით, ამ გზით მიდის და ცდილობს არ დათმოს პოზიციები. ამჟამად გვსურს ხელოვნური ინტელექტით მხარდაჭერილი სიმულაციები შემოვიტანოთ, რაც ასევე, ძალიან ახალი და თანამედროვეა. ასე, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი, რაც, მჯერა, აუცილებლად გახდება შესაძლებელი და მიღწევადი“, – აღნიშნა გამომსვლელმა.

საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში, 17 ოქტომბერს, გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თსსუ-ის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ასევე, ყველა იმ უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, სადაც სიმულაციური სწავლება ხორციელდება. ღონისძიების პარალელურად, საუნივერსიტეტო სივრცეში, მიმდინარეობდა სამედიცინო ტექნოლოგიების გამოფენა.

დარეჯან კომლაძე









# თსსუ-ის პათოლოგანატომიური სკოლის წარმომადგენლები კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ




ახლახან, ფლორენციაში (იტალია) პათოლოგიის 36-ე ევროპის კონგრესზე ჯორდანოს სახელობის სასტიპენდიო კონკურსის გამარჯვებულები დასახელდნენ მსოფლიოს 22 ქვეყნიდან და რაოდენ საამაყოა, რომ მათ შორის **მანანა ჯიქურაშვილი** და **შოთა კეპულაძე** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ექიმები და მასწავლებლები – არიან.

დიდი გამოცდილების მქონე ქართული პათოლოგანატომიური სკოლა დღემდე აგრძელებს თავის, თითქმის საუკუნისტოლ, ღირსეულ ტრადიციებს სასწავლო, სამეცნიერო თუ პედაგოგიური მიმართულებით.

გადავწყვიტეთ პროფესორ **გიორგი ბურკაძეს**, ამ სასახელო ახალგაზრდების მენტორს, დამრიგებელს, გზის გამკვალავს და მათი წარმატებებების თანამონაწილეს, დავკავშირებოდით, რათა მკითხველისთვის უფრო დაწვრილებით მოგვეთხრო ყველაფერ იმაზე, რაც მისმა მოწაფეებმა, თავიანთი საინტერესო და დატვირთული სტუდენტური წლებიდან, დღემდე გაიარეს.

ბატონმა გიამ, თსსუ-ის მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, თსსუ-ის სარეზიდენტო პროგრამა — „პათოლოგიური ანატომია და კლინიკური პათოლოგია“, დირექტორმა, საქართველოს პათოლოგთა და ციტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა, მათ სამომავლო პერსპექტივებზეც ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ ეს ახალგაზრდები აუცილებლად განაგრძობენ წარმატებულ სვლას პათოლოგიური ანატომიის უკიდეგანო სივრცეების დასაუფლებლად და ღირსეული მემკვიდრენი და თანამონაწილენი გახდებიან იმ დიდი წარმატებებისა, რაც ქართულმა პათოლოგანატომიურმა სკოლამ დღემდე მოიტანა.

როგორც ბატონი გია აღნიშნავს, – შოთა კეპულაძემ, მუდმივად მზარდმა ახალგაზრდა სპეციალისტმა, კარგა ხანია, თავი გამოიჩინა; უაღრესად ნიჭიერი, კეთილსინდისიერი ახალგაზრდა, ყოველთვის გამოირჩეოდა ცოდნის სრულყოფისათვის ინტენსიური შრომით. ამჟამად იგი პათოლოგიურ ანატომიას უკითხავს თსსუ-ის ინგლისურენოვან სტუდენტებს, პარალელურად, თსსუ-ის სასწავლო, სამეცნიერო და დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში საქმიანობს და ბათუმის მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტლის – ,,მედცენტრის" პათოლოგანატომიური დეპარტამენტის ხელმძღვანელიცაა.

შოთას საქმიანობამ ევროპული მასშტაბები შეიძინა – პათოლოგანატომთა საერთაშორისო ასოციაციის ბრიტანეთის ფრთის წევრი და არაერთი საერთაშორისო სემინარის თუ კონფერენციის მონაწილეა. იგი ERASMUS+-ის მობილობის ფარგლებში, იტალიაში, სალერმოს უნივერსიტეტში, მოლეკულურ პათოლოგიურ ანატომიაში გადის სტაჟირებას; ახლახან კი დაფინანსება მოიპოვა ევროპის პათოლოგთა საზოგადოების – ,,ჯორდანოს" პროექტით და მომავალ წელს ნიდერლანდებში, მაასტრიხის უნივერსიტეტში, გაემგზავრება დერმატოპათოლოგიაში ცოდნის გასაღრმავებლად.

დღეისთვის უკვე შემდგარი და წარმატებული ახალგაზრდა მედიკოსი, იმედია, მალე ჩამოყალიბებულ თანამედროვე ექიმად მოევლინება მშობლიურ უნივერსიტეტსა და ქვეყანას, რაც ძალიან მახარებს და მეიმედება, – გვითხრა ბატონმა გიამ.

ასეთივე წარმატებულ ექიმზე – მანანა ჯიქურაშვილზე – საუბრისას, ბატონმა გიამ ის წლები გაიხსენა, როდესაც, მას, ჯერ კიდევ მესამეკურსელ სტუდენტს, ლექციებს უკითხავდა ნეიროპათოლოგიის მიმართულებით. როგორც მაღალი აკადემიური შეფასების მქონე რეზიდენტი, იგი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა პროექტში; რამდენიმე წლის წინ კი, თსსუ-ისა და პიზას უნივერსიტეტს შორის ბილატერალური შეთანხმების საფუძველზე, მონაწილეობდა ERASMUS+-ის კრედიტმობილობის პროგრამაში, სადაც რეზიდენტურის კურსის რამდენიმე მოდული გაიარა. ამჟამად USMD პროგრამაზე მუშაობს, ასევე, თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკის პათოლოგანატომად.

2022 წელს მანანა ჯიქურიშვილი, თსსუ-ის მხარდაჭერით და ბატონი გიას რეკომენდაციით, ავსტრიაში, ტიროლის კლინიკის Innpath ლაბორატორიაში სადიაგნოსტიკო უნარების გასაღრმავებლად იყო წარგზავნილი.

დღეს მანანა საქართველოს პათოლოგთა და ციტოლოგთა ასოციაციის, ასევე, ევროპის პათოლოგთა საზოგადოების წევრია; იყო აშშ-ისა და კანადის პათოლოგთა აკადემიის – USCAB – ელჩი საქართველოში; წელს კი ევროპის პათოლოგთა საზოგადოების – „Giordano"-ის სტიპენდია მოიპოვა და მომავალ წელს პორტოს (პორტუგალია) უნივერსიტეტის მოლეკულური პათოლოგიის და იმუნოლოგიის ინსტიტუტში გაემგზავრება თსსუ-ის პროექტის —,,მიკრომორფოლოგიური პრეპარატების ციფრული ბაზის შექმნა და მისი გამოყენება სასწავლო პროცესში ინოვაციური მოდულების და ხელოვნური ინტელექტის კომპონენტებზე სადოქტორო პროგრამის შესაქმნელად".

დიახ, მომავალი ამ ახალგაზრდებისაა, რადგანაც მათზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქართული მედიცინის, კონკრეტულად კი – პათოლოგანატომიური სკოლის ღირსეული ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება.

მოამზადა
დარეჯან კომლაძემ

# გილოცავთ!



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორს, ქალბატონ ნელი ანთელავას, დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. იგი ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და აქტიურადაა ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ქალბატონ ნელის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოში ფარმაკოლოგიის დარგის განვითარებაში.

სამედიცინო ფარმაკოლოგიის და კლინიკური ფარმაკოლოგიის დეპარტამენტების თანამშრომლებს გვინდა საიუბილეო თარიღი მივულოცოთ ქალბატონ ნელის და მოკლედ მოგახსენოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ მისი ბიოგრაფიიდან.

ქალბატონი ნელი ანთელავა საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში – აფხაზეთში, გაგრის რაიონის დაბა ლესელიძეში, დაიბადა და თითქოს ამ მხარის მშვენიერება, მომხიბვლელობა, ეშხი ჰარმონიულად შეერწყა მის პიროვნულ თვისებებს – ხასიათსა და ბუნებას.

მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ოჯახმა: მამა – ალექსანდრე ანთელავა, დაბა „ხეივნის" კოლმეურნეობის ერთ-ერთი დამაარსებელი და გაგრის რაიონის დაბა განთიადის საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. მას იცნობდნენ როგორც ენერგიულ, ხალისიან, სპორტულ, მოსიყვარულე, ნიჭიერ ადამიანს, რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდები.

ქალბატონი ნელის დედა – ანა შირიაევა, როსტოვის რაიონში დაიბადა და საბჭოთა ეპოქაში, ე.წ. განკულაკების პერიოდში, მშობლების და დის დაკარგვის შემდეგ, ძმებთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში, აფხაზეთში, სადაც სწრაფად აითვისა ქართული ტრადიციები და ცხოვრების წესი, დაეუფლა ბუღალტრის პროფესიას და მუშაობდა ფინანსისტად. ქალბატონი ნელი დიდ, ლამაზ, მეგობრულ ოჯახში ცხოვრობდა, სადაც სამი ბავშვი იზრდებოდა – ნელი და მისი და-ძმა: ალა და ალექსანდრე.

სწავლობდა დაბა „ხეივნის" მე-2 საშუალო სკოლაში, სადაც არაჩვეულებრივი მასწავლებლები ასწავლიდნენ; იყო წარჩინებული მოსწავლე და 1960 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, გადაწყვიტა სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გაეგრძელებინა. თუმცა, როგორც გაირკვა, მისი საგამოცდო ნაწერი რუსულ ენაში, დაკარგული აღმოჩნდა. ამ გაუგებრობის გამო, მომდევნო წელს ლენინგრადის (ამჟამად – სანკტ-პეტერბურგის) სანიტარულ-ჰიგიენურ სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა, სადაც გამორჩეული სტუდენტი გახლდათ – წარჩინებით სწავლობდა, მე-3 კურსიდან კი სახელობითი სტიპენდიატი გახდა; აქტიურად ჩაერთო სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში ფარმაკოლოგიასა და პათანატომიაში და იყო სტუდენტური სამეცნიერო საბჭოს წევრი. სწავლასთან ერთად, ქალბატონი ნელის სტუდენტური ცხოვრება ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი იყო – ბევრს მოგზაურობდა, ესწრებოდა კულტურულ ღონისძიებებს... ეს მშვენიერი ქალაქი, სანკტ-პეტერბურგი, მისთვის მეორე მშობლიურ ქალაქად იქცა. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ქალბატონ ნელის, როგორც წარჩინებულ სტუდენტს, შესთავაზეს ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება და მანაც ფარმაკოლოგიის მიმართულებით განაგრძო სწავლა; ამ პერიოდში არაერთ გამოჩენილ მეცნიერთან მოუხდა თანამშრომლობა. 1972 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება სპეციალობაში – ფარმაკოლოგია. ასპირანტურის დასრულების შემდეგ, ქალბატონი ნელი მიიწვიეს სანკტ-პეტერბურგის, მაშინდელი ლენინგრადის, პედიატრიულ სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც ფარმაკოლოგიის კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე 8 წელი იმუშავა.

საქართველოს სიყვარული და ნოსტალგია მუდმივად თან სდევდა ქალბატონ ნელის, რამაც განაპირობა მისი სამშობლოში დაბრუნება – 1979 წელს ჩამოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო მაშინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ექსპერიმენტული ფარმაკოლოგიის ჯგუფის ხელმძღვანელად, 1999 წლიდან 2006 წლამდე იყო ამავე ცენტრის სამკურნალო საშუალებების მოქმედებისა და კვების პროდუქტების ვარგისიანობის შემსწავლელი განყოფილების ხელმძღვანელი. დიდია მისი წვლილი ფარმაკოლოგიური საშუალებების პრეკლინიკურ კვლევებში; 11 პრეკლინიკური კვლევა აქვს ჩატარებული, რაც გაფორმებულია ანგარიშებში შემდგომი კლინიკური აპრობაციისთვის.

მალევე ჩაერთო პედაგოგიურ საქმიანობაში ფარმაკოლოგიის კათედრაზე, სადაც არაერთ შესანიშნავ ადამიანთან მოუხდა თანამშრომლობა. განსაკუთრებით მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის კოლექტივთან, თავისი ჯგუფის წევრებთან და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან. შემდეგ, ქალბატონი ნელი, აირჩიეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის ასისტენტად, კათედრის დოცენტად, 1992 წელს კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება ფარმაკოლოგიის სპეციალობით. უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონი ნელი გახლდათ პირველი ქალი საქართველოში, რომელსაც ფარმაკოლოგიის დარგში პროფესორის წოდება მიენიჭა.

მნიშვნელოვანია ქალბატონი ნელის როლი 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შესწავლის საქმეში. იგი საქართველოს უმაღლეს საბჭოსთან არსებული 9 აპრილის გარემოებების შემსწავლელი კომისიის წევრი იყო; სწორედ მან, პირველმა, დაასახელა, თუ რა ჯგუფის ქიმიური ნივთიერება იყო გამოყენებული მომიტინგეთა დარბევისას და დაასაბუთა კიდეც თავისი მოსაზრება. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები ნათლად მიუთითებდა ამ მოსაზრების სისწორეზე და კომისიის შემდგომი გადაწყვეტილებების საფუძველიც გახდა.

არაერთი წოდება და ჯილდო აქვს მიღებული ქალბატონ ნელის, მაგრამ მისთვის განსაკუთრებით საამაყოა სტუდენტების აღიარება და სიყვარული. 2009 წელს, სტუდენტებთან თანამშრომლობისა და გულთბილი დამოკიდებულებისთვის, მიღებული აქვს მადლობა და სიგელი, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დასახელდა გამარჯვებულად ნომინაციაში – „საუკეთესო დეპარტამენტის ხელმძღვანელი", ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ კი წლის საუკეთესო პედაგოგად იყო აღიარებული..

2006 წელს ქალბატონი ნელი სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტს, ხოლო 2009 წლიდან 2013 წლამდე ფარმაკოლოგიის და ფარმაკოთერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო. 2023 წლიდან ქალბატონი ნელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორია და კვლავ აგრძელებს პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტში.

იგი 150-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, ასევე, სახელმძღვანელოების და მონოგრაფიების ავტორი და რეცენზენტია. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში. აქტიურად უჭერდა მხარს სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობას, არაერთი სტუდენტური კონფერენციის ორგანიზატორია და რეგულარულადაა ჩართული სტუდენტური კონფერენციების მუშაობაში. ყურადღებას იმსახურებს ქალბატონი ნელის საექსპერტო საქმიანობა – იყო ჟურნალ „Georgian Medical News"-ის და „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სერია A"-ის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს წევრი; ასევე, მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი. არის ექვსი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, ათეულობით დისერტაციის კონსულტანტი, ოპონენტი ექსპერტი, მისი მოსწავლეები კი ბევრად მეტნი არიან.

ქალბატონი ნელის განსაკუთრებული სიამაყე მისი ოჯახია – ვაჟი, ალექსანდრე ანთელავა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია; მან ფარმაკოლოგიის მიმართულებით დაიცვა როგორც საკანდიდატო, ისე – სადოქტორო დისერტაციები და, ამჟამადაც, მუშაობას მედიცინის სფეროში აგრძელებს. რძალი – ირინა ანთელავა, პროფესიით სტომატოლოგია. ქალბატონ ნელის ორი შვილიშვილი ჰყავს, რომლებიც დღეს უცხოეთში სწავლობენ და მუშაობენ და გვაოცებენ თავიანთი მიღწევებით – ანა ანთელავა, ლონდონის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხა და კემბრიჯის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ბაზაზე შეასრულა კვლევითი ნაშრომი. იგი ქიმიური ინჟინერიის დოქტორია; ეკა ანთელავამ კი ბრიუსელში დაამთავრა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ეკონომიკის და ბიზნესის მიმართულებით და იქვე აგრძელებს მუშაობას.

გვინდა განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული გამოვხატოთ ქალბატონი ნელის მიმართ და ჯანმრთელობა, ჩვეული სიხალისე და ხანგრძლივი აქტიური პროფესიული საქმიანობა ვუსურვოთ მას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფარმაკოლოგიის და კლინიკური ფარმაკოლოგიის დეპარტამენტები

## სტუდენტური გვერდი

# შეხვედრა სტუდენტურ თვითმმართველობასთან



30 სექტემბერს თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის გუნდის მოვალეობის შემსრულებლები სტუდენტების წინაშე წარდგნენ. გუნდის წევრებმა სტუდენტებს დეტალურად გააცნეს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა და მისი სტრუქტურა.

სტუდენტებს მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ირაკლი ნატროშვილი**; სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტებმა ამომწურავად ისაუბრეს საკუთარი მოვალეობებისა და საქმიანობის შესახებ. სტუდენტებს, ასევე, სიტყვით მიმართეს სტუდენტური თვითმმართველობის ფაკულტეტების, დეპარტამენტებისა და სამსახურების ხელმძღვანელებმა, რომელთა გამოსვლებმა მსმენელთა ინტერესი დაიმსახურა.

წარდგენის შემდგომ, სტუდენტების განწყობაზე იზრუნა თსსუ-ის კულტურის ცენტრმა, რომელმაც საღამო მრავალფეროვანი და მხიარული გახადა. პრეზენტაციამ სტუდენტებში გამოხმაურება გამოიწვია და, შესაბამისად, სტუდენტურ თვითმმართველობაში გაწევრიანების მსურველთა დიდი რაოდენობაც დაფიქსირდა.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის გუნდი მრავალ საინტერესო, შემეცნებით, გასართობ, ინტელექტუალურ და სახალისო დღეებს ჰპირდება სტუდენტებს.

# ტურნირები ჭადრაკში, შაშსა და ნარდში



ახალი, 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, სტუდენტები აქტიურად ჩაერთვნენ თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ მრავალ პროექტში. 9 და 11 ოქტომბერს, სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით, გაიმართა ტურნირები ჭადრაკში, შაშსა და ნარდში, სადაც შესაბამისად გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

ჭადრაკში: **საბა არაბიძე, აკაკი რობაქიძე, ამირან კაკაურიძე;**

ნარდში: **რატი გუნიავა; მარია ლუაშვილი, გიორგი თოდაძე;**

შაშში: **მამუკა სიდამონიძე; თელმან გევორგიანი; საბა ფულარიანი.**





სტუდენტური თვითმმართველობა ულოცავს გამარჯვებულებს და წარმატებას უსურვებს მათ.

# FOOD MED FEST

17 ოქტომბერს, სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით, ჩატარდა FOOD MED FEST, რომელიც ითვალისწინებდა ყველა ფაკულტეტის სტუდენტთა შეჯიბრს სხვადასხვა ეტაპების სახალისო და, ამავდროულად, რთული დავალებების წარმატებით გავლაში.

აღსანიშნავია, რომ ამ ყოველწლიურ ფესტივალში მედიცინის ფაკულტეტმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა გამარჯვება. „BLACK TIE BURGER"-მა და „DI ROMA"-მ გამარჯვებულებს სასაჩუქრე ვაუჩერები გადასცეს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.





# WELCOME PARTY



13 ოქტომბერს, თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ორგანიზებით, გაიმართა ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება – WELCOME PARTY, რომელსაც HALL-მა უმასპინძლა.

სტუდენტებს სიტყვით მიმართვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ირაკლი ნატროშვილმა და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, შაკო მღებრიშვილმა.

ღონისძიება განსაკუთრებული ელფერი შესძინეს გიორგი ცხადაძემ და ბენდმა – „4+2"-მა.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა კიდევ ერთხელ ულოცავს სტუდენტობას ახალი სასწავლო წლის დაწყებას და კვლავაც არაერთ საინტერესო პროექტს გეგმავს.

**გვერდი მოამზადა ნიკოლოზ არველაძემ, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მე-3 სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის სამსახურების მიმართულებით ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა**

## ჭაბუკები დარჩნენ მარად

# აფხაზეთი – მოუშუშებელი იარა



ტრადიციულად, მიმდინარე წლის 27 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა პატივი მიაგეს ღირსეული ქართველი ახალგაზრდების – **ვასილ კილაძის, ილია მელაძის, გიორგი მიროტაძის, რევაზ მუმლაძის და ნიკოლოზ ღიბრაძის** – ხსოვნას, რომელთა სახელები, ქვეყნის უდიდესი ტკივილისა და, ამავდროულად, მამულიშვილობის სიმბოლოდ იქცა. უკვე სამ ათეულ წელზე მეტია მშობლიური უნივერსიტეტი და სრულიად საქართველო ამ ბიჭებსაც და 1993 წლის ომს შეწირულ სხვა გმირებსაც პატივს მიაგებს და ამით თაობებს გადასცემს უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული გულანთებული ახალგაზრდების ღვაწლს.

თსსუ-ში აფხაზეთის ომის გმირებს სასწავლო კორპუსების ეზოში მდებარე მემორიალთან იხსენებენ. შეკრებილებს ღონისძიების წამყვანმა, თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა, **გიორგი ჭიჭინაძემ,** კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ეს ბიჭები მისი თაობის ახალგაზრდები არიან, რომელთაც, ჯერ კიდევ მეორე-მესამეკურსელმა მომავალმა ექიმებმა, სრულიად უყოყმანოდ და დაუბრკოლებლად მიიღეს გადაწყვეტილება, დამდგარიყვნენ იქ, სადაც სამშობლოს სჭირდებოდა. მათ ომის კი არა, ქართველი და აფხაზი ხალხის გაერთიანების და მათი სამედიცინო დახმარების სურვილი ჰქონდათ.

პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, შეკრებილებს მიმართა და ისაუბრა 27 სექტემბერზე – თარიღზე, უმძიმესი რომ გამოდგა საქართველოს ისტორიისთვის: „31 წელი გავიდა იმ დღიდან, რაც სოხუმის დაკარგვით, საქართველოს იურისდიქცია დროებით აღარ ხორციელდება აფხაზეთის ტერიტორიაზე. ძალიან რთულია იმაზე საუბარი, რომ ამ ახალგაზრდებმა, დატოვეს ოჯახები, აუდიტორიები და თავიანთი წმიდათაწმიდა მოვალეობის აღსასრულებლად წავიდნენ, რადგანაც არ სურდათ ეხილათ დანაწევრებული და გახლეჩილი საქართველო. დარწმუნებულნი ვართ, რომ მათი თავგანწირვა უშედეგოდ არ ჩაივლის – საქართველო უცილობლად იქნება ერთიანი და კიდევ უფრო მეტად განვითარებული, მათ სახელებს კი დავიწყება არ უწერია“.

შეხვედრას ესწრებოდნენ ნიკოლოზ ღიბრაძის მშობლები – ქალბატონი **ნანა ბეგიშვილი,** ბატონი **ავთანდილ ღიბრაძე** და გიორგი მიროტაძის მამა – ბატონი **ლევან მიროტაძე,** რომელთაც მადლიერებით ისაუბრეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე, აღნიშნეს, რომ მათთვის უმნიშვნელოვანესია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, სტუდენტები არ ივიწყებენ და ღირსეულად მიაგებენ პატივს მათი შვილების ხსოვნას; – „ამ თანადგომით მათი სიცოცხლე გრძელდება, ჩვენთვის კი შვების და იმედის მომტანია იმის გაცნობიერება, რომ მათი სახელები დაუვიწყარია და მომავალი თაობებიც კვლავ პატივისცემით გაიხსენებენ“.

თსსუ-ის კურსდამთავრებულმა, მწერალმა **ზურაბ ლეშკაშელმა**, ისაუბრა თანამებრძოლ მეგობრებზე, რომელთან ერთად მასაც მოუხდა აფხაზეთის ომში მონაწილეობის მიღება და რომ ყველა ისინი ერთნაირად უწვდიდნენ დახმარების ხელს ორივე მხარის წარმომადგენლებს – ქართველ და აფხაზ მეომრებს, ყველას, ვისაც სამედიცინო მომსახურების გაწევა ესაჭიროებოდა, თუმცა, იმ ავბედითმა დღეებმა შინმოუსვლელ ვაჟკაცებად აქცია ეს ბიჭები – დაუნდობლად შეიწირა მათი სიცოცხლე. მანვე მადლიერებით აღნიშნა თსსუ-ის ვიცე-რექტორის, ბატონი ზურაბ ვადაჭკორიას, წვლილის შესახებ გმირი სამედიცინოელი სტუდენტების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის საფუძვლის ჩაყრისა და მოწყობის საქმეში და რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება, – აღნიშნა გამომსვლელმა.



„ჭაბუკები დარჩნენ მარად“ – ეს უშიშარი ახალგაზრდები, თავიანთი სამშობლოს სიყვარულისა და ბედნიერი მომავლისთვის თავგანწირვის საუკეთესო მაგალითი რომ უჩვენეს ქვეყანას და საზოგადოებას.

დარეჯან კომლაძე





## ახალი წიგნი




გამომცემლობა „დიოგენემ“ გამოსცა წიგნი – „Medical English Dialogues“.

წიგნის ავტორია **ელენე ფაღავა,** მედიცინის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სამედიცინო განათლება ელენეს ნაწილობრივ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში აქვს მიღებული; რეგულარულად მონაწილეობს კონფერენციებსა და ტრენინგებში საზღვარგარეთ; ასწავლის როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებსა და მაგისტრანტებს. მან ახლახან, ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში, ლექციები წაიკითხა სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში, ესპანეთში. ის აგრეთვე არის ბრიტანული სამედიცინო ჟურნალის თანარედაქტორი.

წიგნი განკუთვნილია სამედიცინო ინგლისურით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის, ვინც მიზნად ისახავს, სრულყოფილად დაამყაროს კომუნიკაცია სამედიცინო სექტორის წარმომადგენლებთან და შეძლოს ინგლისურენოვან გარემოში წარმატებით მუშაობა. წიგნში წარმოდგენილი ინფორმაცია სასარგებლო იქნება სტუდენტების, რეზიდენტების, ექიმებისა და ექთნებისთვის, ფარმაცევტების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის, აგრეთვე, – პაციენტებისა და სამეცნიერო კვლევებით დაინტერესებული პირებისთვის.

წიგნი შედგება 12 თავისგან და ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა: ადამიანის ორგანიზმი, სამედიცინო ანამნეზის შეკრება, პაციენტის გასინჯვა, დიაგნოსტიკა, დაავადების ნიშნები და სიმპტომები, მკურნალობა, პრევენცია, ჰოსპიტალიზაცია და საავადმყოფოდან გაწერა, სამეცნიერო კვლევა და კვლევის დიზაინი, ბიოეთიკა. სტრუქტურა მოიცავს დიალოგებს უცხო სიტყვების განმარტებით და სავარჯიშოებს. თითოეულ თავს თან ახლავს მოსასმენი ტექსტი სავარჯიშოებით. ბონუსის სახით წიგნში წარმოდგენილია 50 სამედიცინო იდიომა თავისი სავარჯიშოებით.

წიგნის ბოლოს მოცემულია სწორი პასუხები. ამგვარად, წიგნით სარგებლობა შესაძლებელია, როგორც პედაგოგის ხელმძღვანელობით, ასევე დამოუკიდებლად.

## ხსოვნა

# პროფესორი ქეთევან ნემსაძე



გარდაიცვალა ქართული პედიატრიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს პედიატრიის აკადემიის დამფუძნებელი, წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პედიატრიის დეპარტამენტის ზოგადი პედიატრიის მიმართულების სრული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მთავარი პედიატრი – ქეთევან ნემსაძე.

ქალბატონი ქეთი ნემსაძე 1980 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ისტიტუტის (შემდგომში უნივერსიტეტის) პედიატრიის კათედრაზე, 1994 წლიდან გახლდათ პროფესორი, 1996 წელს დაინიშნა თბილისის მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის დირექტორად.

2007-2011 წლებში მუშაობდა იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორად, ხოლო შემდეგ, გარდაცვალებამდე, ხელმძღვანელობდა გლობალმედის პედიატრიულ კლინიკას.

როგორც მრავალმხრივ განათლებული და ერუდირებული პიროვნება, იგი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით სამედიცინო, სამეცნიერო თუ პედაგოგიკური საქმიანობის მიმართულებებით.

უდიდესი და უმნიშვნელოვანესია პროფესორ ქეთი ნემსაძის წვლილი, ზოგადად, ქართული პედიატრიის განვითარებაში, კერძოდ, მას დიდი დამსახურება აქვს შეტანილი არაერთი სფეროს: სეფსისოლოგიის, ნეონატოლოგიის, ჰემატოლოგიის, ბავშვთა ასაკის უხშირეს დაავადებათა მართვის, განვითარებაში.

დიდია მისი დამსახურება საქართველოში ძუძუთი კვების პოპულარიზაციის საკითხში – იყო ინიციატორი და თანაავტორი კანონისა – „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების კონტროლირებული მოხმარების შესახებ“. 2006 წელს მიენიჭა ამერიკის ძუძუთი კვების მედიცინის აკადემიის (ABM) საპატიო წევრის წოდება აკადემიის მიზნების ხელშეწყობის, სამაგალითო საქმიანობის, გამოცდილებისა და განსწავლულობისთვის ძუძუთი კვების მედიცინისა და ლაქტაციის დარგში. ქალბატონი ქეთი ნემსაძის ინიციატივით დაიწყო საქართველოში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პროგრამები, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ქვეყანაში მწვავე დიარეული და რესპირატორული დაავადებებით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებაში. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა UNICEF-ის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს ცენტრალური ევროპის, ბალტიისა და დსთ-ის ქვეყნებში.

პროფესორი ქეთი ნემსაძის მაღალი პროფესიონალიზმი, წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება, როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო დონეზე, განსაზღვრავდა მისი კომუნიკაბელურობის უნარს არაერთი სფეროს, როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

იგი გახლდათ უმაღლესი სამედიცინო განათლების სხვადასხვა საფეხურზე ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების პროგრამის შემოტანისა და ახლებურად გააზრების ინიციატორი საქართველოში, კერძოდ, იტალიელ და ამერიკელ კოლეგებთან ერთად, მისი თანამშრომლობის შედეგად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შეიქმნა კურიკულუმის მულტისაუნივერსიტეტო, მულტიდისციპლინური მოდული. სწორედ მის მიერ შექმნილი სწავლებისთვის მაქსიმალურად კომფორტული, განსაკუთრებული ატმოსფერო და სტუდენტებთან დამოკიდებულება ასაზრდოებდა იმ განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას, რომლითაც ქალბატონი ქეთი სარგებლობდა სტუდენტებში.

ის მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო პროექტსა და კონფერენციაში მონაწილეობდა, ამავდროულად, პროფესორ ქეთევან ნემსაძეს ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია, არის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი.

მას, როგორც ერუდირებულ პედაგოგს, ნიჭიერ მკვლევარს, გულისხმიერ ექიმს, სანიმუშო ხელმძღვანელს, კოლეგას, პატივისცემით და მადლიერებით გაიხსენებენ ახლობლები, მეგობრები, კოლეგები, როგორც ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით, ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან.

# ნუნუ ბიწაძე



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ღვაწლმოსილი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ქალბატონი ნუნუ ბიწაძე გარდაიცვალა.

ქალბატონი ნუნუ საუკეთესო და მისაბაძი პიროვნება, პროგრესულად მოაზროვნე სპეციალისტი, ახალგაზრდების დიდი მეგობარი და დამრიგებელი გახლდათ. მრავალი ათეული წელი მიუძლვნა მან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა დარგის განვითარებასა და კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდის უმნიშვნელოვანეს საქმეს...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის, ასევე, მისი სტუდენტების და კოლეგებისათვის დიდი დანაკლისია ქალბატონი ნუნუს გარდაცვალება.

ქალბატონი ნუნუ, – „ნუნუ მას”, – როგორც მას ყოფილი მოსწავლეების უმრავლესობა მიმართავდა, ნამდვილად დააკლდება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტთა რიგებს და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდ არმიას.

თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ფაკულტეტი

# თსსუ-ის სიმღერისა და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლი საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერის და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლი სულ მალე დაარსებიდან 40 წლის იუბილეს იზეიმებს. ამ ხნის მანძილზე მან სამშობლოსა თუ უცხოეთში წარმატებული კონცერტებით არაერთხელ გაახარა გულშემატკივარი, ასახელა ქვეყანა და მშობლიური უნივერსიტეტი. აღსანიშნავია, რომ ანსამბლს ხშირად იწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში იუნესკოს ეგიდით გამართულ საერთაშორისო ფესტივალებზე. ასე იყო ამჯერადაც: 14 აგვისტოდან 26 აგვისტოს ჩათვლით, ჩეხეთის ქალაქებში: ჩერვენი კოსტელეცში და ლიპტალში ჩატარდა ორი საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ ანსამბლები მსოფლიოს ყველა კონტინენტის 14 ქვეყნიდან: მექსიკიდან, კოლუმბიიდან, ვენესუელადან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, შოტლანდიიდან, სერბეთიდან, სლოვაკეთიდან, ჩეხეთიდან, საქართველოდან, ინდოეთიდან, ტაილანდიდან, ტაივანიდან...

გვესაუბრება თსსუ-ის კულტურის ცენტრის დირექტორი, სიმღერის და ცეკვის სახალხო, დამსახურებული ანსამბლის ხელმძღვანელი, ბატონი **ბადრი მაჭავარიანი:**

**– ბატონო ბადრი, ევროპაში ეს უკვე მერამდენედ მიაღწია წარმატებას ანსამბლმა. როგორც ვიცით, ჩეხეთშიც პირველად არ დაიმსახურეთ მაყურებლის ოვაციები...**

– დიახ, ანსამბლმა წარმატებული კონცერტები ჩეხეთში ადრეც გამართა, თუმცა ჩვენი ანსამბლის გამოსვლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არათუ მაყურებლის მოწონებას, არამედ ფესტივალის დახურვის პატივს და, უმეტესად – ჟიურის უმაღლეს შეფასებას და პირველ ადგილს იმსახურებს, რაც, დამეთანხმებით, ნამდვილად სასიხარულოა.

**– ფესტივალზე, ალბათ, იყვნენ ძლიერი კონკურენტებიც; რომელი ქვეყნის ფოლკლორულ ანსამბლებს გამოარჩევდით მათგან?**

– სერიოზულ კონკურენციას გვიწევდნენ მდიდარი ფოლკლორული ტრადიციის მქონე ლათინური ამერიკის ქვეყნები, განსაკუთრებით – ფოლკლორული ანსამბლი მექსიკიდან; ევროპიდან – ესპანეთი, სერბეთი, ჩეხეთი, იტალია, ხოლო აზიიდან – ინდოეთი. მიუხედავად ამ კონკურენციისა, ორგანიზატორებისა და მაყურებლის გადაწყვეტილებით, რომლებმაც საოცრად თბილი დახვედრა მოუწყვეს ჩვენს ანსამბლს, პირველი ადგილი და ფესტივალების დახურვის საპატიო უფლება სწორედ თსსუ-ის სიმღერის და ცეკვის სახალხო, დამსახურებულ ანსამბლს ერგო, რამაც სიხარულის საოცარი განცდა მოგვანიჭა თითოეულ ჩვენგანს, ანსამბლის ყველა წევრს. ემოციური იყო მაყურებლის ოვაციები კონცერტის შემდეგ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ უშვებდა ჩვენს მომღერლებს და მოცეკვავეებს სცენიდან. მეორე ადგილი დაიმსახურა სლოვაკეთმა, ხოლო მესამე ადგილი – მექსიკამ.

**– რა იყო ყველაზე მკვეთრი და დასამახსოვრებელი შთაბეჭდილება ჩეხეთში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალზე?**

– საერთოდ, ჩეხეთშიც და სხვა ქვეყნებში გამართულ ფესტივალებზეც ყოველთვის საოცარი განცდა გეუფლება ადამიანს, როდესაც შენი ქვეყნის დროშა ამაყად ფრიალებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დროშებს შორის და კიდევ უფრო სასიხარულოა, როცა ამ დიდ წარმატებას, ქვეყნის სასახელოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აღწევს.

ამჟამინდელ ფესტივალზე, მართალაც, შთამბეჭდავი იყო ერთი ფრიად სასიამოვნო ფაქტი: ქალაქ ჩერვენი კოსტელეცში, ტელევიზიებისა და ფოტორეპორტიორების მოთხოვნით, ყველა ანსამბლი მონაწილეობდა სარეკლამო გადაღებებში, სადაც ჩვენი ანსამბლი ცეკვა „ფარიკაობით" წარდგა. მოსახლეობა, რომელიც ესწრებოდა ამ გადაღებებს, ხანგრძლივი ტაშით და ოვაციებით გამოხატავდა აღფრთოვანებას, ისე რომ, არც შეუნიშნავთ ჩეხეთის პრეზიდენტი, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩვენი სტუდენტების გამოსვლას და, როგორც გადმოგვცეს, დიდი მოწონება გამოუხატავს ჩვენი ანსამბლისადმი. გაზეთში წარმოდგენილი ეს ფოტო კი ჩვენმა გიდმა გადაიღო და მოგვაწოდა, თანაც მიგვითითა, კერძოდ სად იდგა პრეზიდენტი... გიდი გაოცებული და გახარებული იყო პრეზიდენტის და ხალხის მიერ გამოხატული აღფრთოვანებით ჩვენი ანსამბლის მიმართ.

აღნიშნულ ქალაქებში გაიმართა, ასევე, შეხვედრები რეგიონების ხელმძღვანელობასთან და ქალაქების მერებთან.

**– უცხოეთში ანსამბლის გასტროლები, იმ თვალსაზრისითაც საინტერესოა, რომ სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს ეცნობიან და შთაბეჭდილებებით დატვირთულები ბრუნდებიან სამშობლოში. რამდენად საინტერესო იყო წლევანდელი საგასტროლო ტურნე?**

– ანსამბლმა, ევროპაში მოგზაურობის დროს, ტრადიციულად, ექსკურსიებით მოიარა საბერძნეთი, სადაც დაისვენა ეგეოსისა და ადრიატიკის ზღვებზე, იმოგზაურა გემით; იტალიაში დაათვალიერა რომი და ვენეცია; იგალობა ქალაქ ბარიში, ტაძარში, სადაც დაბრძანებულია წმინდა ნიკოლოზის ნეშტი; იტალიის შემდეგ კი, დაათვალიერა ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა და გაემგზავრა საფესტივალო ქალაქებისკენ.

**– უცხოეთში მიღწეული აღიარების გარდა, აღსანიშნავია ანსამბლის წარმატებები საქართველოში გამართულ კულტურულ ღონისძიებებშიც, რაც, ცხადია, დიდი შრომის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერის შედეგია...**

– დიახ, ანსამბლი ხშირად მართავს კონცერტებს, როგორც უნივერსიტეტში, ისე – ქვეყნის მასშტაბით. მაგალითად, ყოველწლიურ სტუდენტურ ფესტივალებზე, რომელშიც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები მონაწილეობენ და ყველა უნივერსიტეტიდან 25 ათასამდე სტუდენტი ერთვება, ანსამბლი ყოველთვის (წელს უკვე – მეხუთედ) პირველ ადგილს იმსახურებს.



ცხადია, ანსამბლის წარმატება, ხელმძღვანელობასთან ერთად, მთავარი ქორეოგრაფის – დავით უგრეხელიძის, ქორეოგრაფ ინეზა კუპრეიშვილის, ლოტბარ დავით რატიანის, ხალხურ საკრავთა ჯგუფის ხელმძღვანელის, გელა ტაბაშიძის, დამსახურებაა. ეს ადამიანები, ანსამბლის წევრებთან ერთად, თავდაუზოგავად ილვწიან, რომ ანსამბლი ღირსეულად წარმოჩინდეს საქართველოსა თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. წარმატებები, ასევე, ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორი ზრუნვა და მხარდაჭერა აქვთ ჩვენს სტუდენტებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან. ასე იყო ყოველთვის და ასეა დღესაც. თსსუ-ის რექტორი, ბატონი **ირაკლი ნატროშვილი**, კანცლერი, ბატონი **ალექსანდრე ბუაჩიძე,** ჩვენს ყველა წინადადებას თუ თხოვნას გულისყურით ეკიდებიან და მაქსიმალურ მხარდაჭერას გვიცხადებენ. ამ მხარდაჭერისთვის, მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა მათ კულტურის ცენტრის თანამშრომლებისა და ანსამბლის წევრების სახელით.

წლების მანძილზე მიღწეული წარმატებები ცხადყოფს, რომ ანსამბლი მართლაც ღირსეულად ხვდება მნიშვნელოვან თარიღს – დაარსებიდან 40 წლის იუბილეს.

ესაუბრა ნატო ბოლქვაძე














„სამედიცინო გაზეთის" რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64 რედაქტორი ეკა მუკბანიანი
კორესპონდენტები დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47 ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu